პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 თებერვალი სამშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 43 (15560)

ხუთწლედი—ვაკადემიე!

ეჯიბრეობა— მილიონთა შემოქმედება

ვინც თავი ისახელა

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფეიქრები ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში შესრულებისათვის გაშლილი შეჯიბრების ინიციატორები არიან და დღეს ნოვატორ მრთველ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ მზია არათანაშვილთან ერთად ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ახრულებენ. სულ უფრო იზრდება იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც ოთხ დღეში წარმატებით ძლევენ ხუთი დღის ნორმას. მრთველები და მქსოველები ამას ხაწარმოო ზონის გაფართოებით აღწევენ, ხვეწენ თავიანთ ოსტატობას, ზოგავენ ხამუშაო დროს, შრომობენ მომჭირნედ, ყაირათიანად. ამ ხურათზე აღბეჭდილი მრთველები დღიური ნორმების დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილი ამ ახალი შეჯიბრების მოწინავენი არიან. თვითეული მათგანი ყოველი ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ანაღდებს, იანვარში მათს ანგარიშზე 300-350 კილოგრამი ზეგეგმითი პროდუქცია მოდგა. ხურათზე: თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე მრთველები (მარცხნიდან) თ. არაბული, ზ. მაისურაძე, ლ. ხლაგხაია და თ. ხანიეგა.

ხ. ჯილაძის ფოტო.

იწყება პარტიული დოკუმენტების გაცვლა

ბევნი პარტიის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპი დგება. გუშინ „პრავდა“ იუწყებოდა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა პარტიული დოკუმენტების გაცვლის დაწყების საკითხი. იმის გამო, რომ პარტიულმა კომიტეტებმა, პოლიტორგანოებმა და პარტორგანიზაციებმა ძირითადად დაამთავრეს პარტიული დოკუმენტების გაცვლის მოწყობის მოსამზადებელი მუშაობა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ნება დართო მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, საბჭოთა არმიისა და სამხედროსაზღვაო ფლოტის მთავარ პოლიტსამმართველოს, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების პოლიტსამმართველოებს 1973 წლის 1 მარტიდან დაიწყონ პარტიული დოკუმენტების გაცვლა.

როგორც მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, პარტიული დოკუმენტების გაცვლის მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც პარტიაში მიმდინარეობს, მთლიანად წარმოებს ორგანიზებულად. პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის მაისის პლენუმის მითითებათა შესაბამისად. ამ მუშაობის პროცესში უფრო შინაარსიანი გახდა შინაპარტიული ცხოვრება, მაღლდება კომუნისტთა აქტივობა და დისციპლინა, ძლიერდება პარტიული ორგანიზაციათა გავლენა სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს პარტიის შემდგომ განმტკიცებას. მისი, როგორც ხალხთა ალაზგადიების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლის გადიდებას.

ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამბ. ლ. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ პარტიული დოკუმენტების გამოცვლას პრინციპული პოლიტიკური ხასიათი ენიჭება, იგი ეხება პარტიის რიგების განსამტკიცებლად მისი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მხარეს. გამოცვლისათვის მზადება გახდა ჩვენი ძალების ერთგვარი დათვალიერება, მკაცრი და მომთხოვნი შემოწმება იმისა, თუ როგორ ახრულებს თვითეული პარტიული ორგანიზაცია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელება კომუნისტთა მთავარი საზრუნავია. მათი ავანგარდული როლის ამაღლება წარმოებაში ნათლად ვლინდება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ეგზამის ვადამდე შესახრულებლად გაშლილი საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების განვითარებით მეტ ნილ ბრიგადებს, უბნებს, სამეწარმეოებს, რომლებიც შეჯიბრების ინიციატორებად მოგვევლინენ, სათავეში უდგანან პარტიის წევრები და წევრობის კანდიდატები. საქვეყნოდ არის ცნობილი იმ კომუნისტ მუშების სახელი, რომლებიც შეჯიბრების მონაწილეთა პირველ რიგებში არიან. თავდადებით შრომობენ ხოფლის პარტიულები, მალალი შეგნების მაგალითს გვიჩვენებენ კომუნისტები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენს მეცნიერულ, ტექნიკურ, სამხატვრო ინტელიგენციას, მუშაობენ კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, ვეუკაცურად მსახურობენ შეიარაღებული ძალების რიგებში.

დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადებამ პარტორგანიზაციების საქმიანობის ყველა მხარე გააქტიურა. კიდევ უფრო განვითარდა შინაპარტიული დემოკრატია, გაიზარდა პარტიული კრებების ქმედითობა და აღმშრდელობითი მნიშვნელობა, კომუნისტთა დაინტერესება ძომწიფებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტით, უფრო მწვავე გახდა კრიტიკა და თვითკრიტიკა. ეს დაეტყო, კერძოდ, პირველადი პარტორგანიზაციების ამასწინანდელი საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების შინაარსს, დონესა და მიმართულებას. აქ მონაწილეობდა აღრიცხვაზე მყოფი პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების თითქმის 92 პროცენტი, დამსწრეთა 82 პროცენტზე მეტმა მონაწილეობა მიიღო კაბათში.

პარტიული დოკუმენტების გამოხაცვლელად მზადებასთან დაკავშირებით გაძლიერდა ყურადღება კადრების იდეური აღზრდისა და მარქსისტულ-ლენინური განათლების საკითხებისადმი. მიმდინარე სასწავლო წელი პარტიის მეტი წევრი და კანდიდატი სწავლობს ეკონომიური თეორიისა და პოლიტიკის, ფილოსოფიური კომუნიზმისა, ეროვნებისა და ეროვნული ურთიერთობის განვითარების პრობლემებს. გაცოცხლდა ინტერესი პარტიის ისტორიის თემატიკისადმი, პარტიული მშენებლობის პრობლემებისადმი. წარმოებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნისტთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებით, მათი იდეურ-პოლიტიკური ზრდისათვის ბრძოლით პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ გაანწყობენ პარტიის თვითეულ წევრსა და წევრობის კანდიდატს. ამას მნიშვნელოვანილად უკეთებს ხელი ინდივიდუალური გაცაუბრებანი იმათთან, ვინ მიმართავ ყოფიერა რაიმე საკითხი ან პრეტენზია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ „კომუნისტები, რომლებთანაც გაცაუბრებანი მოეწყო, მეტწილად საჭიროა დაკვნები გაძოაქვთ. ბევრი მათგანი ახლა უფრო ქმედითად მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგალითად, უაზასეთის რეაპუბლიკური პარტორგანიზაციაში უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე დაძაბებით ჩაება ხაზოგადოებრივ მუშაობაში თექვსმეტ ათასზე მეტი კომუნისტი, ხოლო კრასნოიარსკის სამხარეო პარტორგანიზაციაში — ათი ათასი, დონეცკის საოლქოში — ხუთი ათასი, ჩელიაბინსკის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში — ოთხ ათასამდე პარტიის წევრი.

პარტორგანიზაციები უფრო გულმოდგინედ სწავლობენ იმ პარტიულთა საქმეებს, რომლებსაც დაბებული აქვთ სასჯელი. აქ, როგორც წესი, ინდივიდუალურ მიდგომას ეჩენენ. იმათ, ვინც გამოასწორა ნაკლოვანებანი, სასჯელს უხსნიან, სხვებს, ვინც ამის ღირსი არ არის, სასჯელს ახალ დოკუმენტებში გადაუტანენ. ხოლო თუ კაცი კვლავ უღირსად იქცევა, მისი პარტიულობის შესახებ დასმენა საკითხი.

დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადების მსვლელობაში იზრდება კომუნისტთა ურთიერთმომთხოვნელობა. ისინი უფრო პრინციპულად გამოდიან ზოგიერთი თავიანთი ამხანაგის ინერტულობისა და გულგრილობის წინააღმდეგ, დისციპლინის, კომუნისტური მორალის ნორმების დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ. პარტიული კოლექტივები ახლა უფრო გაბედულად იშორებენ თავიანთი რიგებიდან ადამიანებს, რომლებიც თავიანთ ხაქციელით არცხვენენ პარტიის წევრის მაღალ წოდებას. ამასთან პარტორგანიზაციები ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, რომ პარტიული დოკუმენტების გამოცვლა — ეს პარტიის წმინდა როდია, რომ დღეს შეიძლება დავიცვათ და კიდევაც უნდა დავიცვათ ჩვენი რიგების სიწმინდე ყოველდღიური მომთხოვნელობის ამაღლების გზით.

ამასთანავე უმჯობესდება მუშაობა პარტიაში ინდივიდუალური შერჩევისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში ახლად მიღებულთა თვისებრივი შემადგენლობა კვლავ უმჯობესდება. შარშან, მაგალითად, კანდიდატებად შესულთა შორის მუშათა რიცხვი გაიზარდა 57,8 პროცენტამდე, მიღებულია მეტი კომკავშირელი.

დღეისათვის, როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, გადაწყვეტილია პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. ბევრი რამ გაკეთდა კომუნისტთა აღრიცხვასა და პარტიულ მეურნეობაში ჯეროვანი წესრიგის დამყარებისათვის. თვალდება იმ. ოთახების მოწყობა, სადაც გაიმართება გამოცვლა, შერჩეულია მუშაკები დოკუმენტების შესავსებად.

PRAVDA

19 თებერვლის მოწყინავე

პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დაწყება დიდი მოვლენაა კომუნისტთა ცხოვრებაში. იგი ბევრ რამეს ავალებს კომიტეტებსა და პირველად ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ამ უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიების წარმატებით განხორციელება. ზუსტად უნდა დავგეგმოთ გამოცვლის წესი, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ იგი ორგანულად მიმდინარეობდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა სრული შესაბამისობით. გამოცვლა უნდა გავშალოთ თანდათანობით, არ დაეშვათ აჩქარება.

ეს მუშაობა დაიწყება ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო პარტორგანიზაციაში. მაგრამ სწორად იქცევიან იქ, სადაც აპირებენ გამოცვლა მოაწყონ თავდაპირველად პარტიის რამდენიმე საქალაქო, რაიონულ კომიტეტსა და პოლიტგანყოფილებებში, შემდეგ კი, გამოცდილების დაგროვების კვალობაზე, თანდათან გაშალონ იგი ყველა პარტიულ კომიტეტსა და პოლიტორგანოში. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტები დღენიადაგ უნდა უკეთებდნენ ანალიზს პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მიმდინარეობას, ყოველდღიურ კონტროლს უწევდნენ მას.

გამოცვლის დაწყება მოსაწვავებს გარკვეულ მიჯნას დიდ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავს კომუნისტთა აქტივობისა და დისციპლინის ამაღლებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ მუშაობას დამთავრებულად ვერ მივიჩნევთ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილების შესაბამისად პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა ორგანიზაციებმა თავად გამოცვლა, რომელიც მოეწყობა 1973-1974 წლების მანძილზე, ხავსებით უნდა გამოიყენონ შინაპარტიული ცხოვრების შემდგომი აქტივიზაციისათვის, პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

განსაკუთრებით ფართოდ ეხება ეს ამოცანა ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ამოცანებს. ეს ეხება ეკონომიკურ ზრდის ინტენსიფიკაციას, ეფექტიანობის ამაღლებას, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი ორგანიზაციის, ტექნიკურ-ეკონომიკური ბალანსის, ფულადი ბრუნვის, ფასების, ხელფასების, ფულადი შემოსავლების, ბიუჯეტის, ფასიანი ქაღალდების, ბანკების, ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტების, ეკონომიკური სტიმულირების, ეკონომიკური ანგარიშწარმოების, ეკონომიკური ანალიზის, ეკონომიკური ინფორმაციის, ეკონომიკური ბალანსების, ეკონომიკური ინდიკატორების, ეკონომიკური ნორმატივების, ეკონომიკური ანგარიშგების, ეკონომიკური ეფექტიანობის, ეკონომიკური ბერკეტ

ხუთწლედი — ვადაზე!
ეკონომიკა-ფილოსოფია
ეკონომიკა-ფილოსოფია
ეკონომიკა-ფილოსოფია

მსოფლიო დღეს

საქმეთა მიმოხილვა

ქვეყნები და ოკუპაციები

□ ვიეტნამის ბოლოსიტყვაობა □ სავაჭრო ომი

ერთ-ერთ ასეთ ასეთ ... ...

ადამიანი და დრო

ჩვენი ცხოვრების კინოდოკუმენტალისტი

ცნობილი ქართველი კინოდოკუმენტალისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გიორგი ასათიანი უკვე სამ ათეულ წელზე მეტია თავისი განუყოფელი კინოაპარატით მოგზაურობს ჩვენს რესპუბლიკაში თუ დედამიწის გარშემო და კინოს ენით მოგვითხრობს ნანახსა და განცდილზე. ყვიამბობს ჩვენი პლანეტის ადამიანთა საოჯახო ცხოვრებაზე, მათს წინააღმდეგობებით აღსავსე ყოფაზე.

ასათიანის შემოქმედების გაგნობა, ეს არის ფანტასტიკური მოგზაურობა მსოფლიოს ქვეყნებში. შეხვედრები ამაზონის ჯუნგლებში ინდიელთა ტომებთან თუ გასეირნება პარიზის ელისეს მინდვრებზე, ვიფხიზებზე ნადირობა თუ ნეიორკის ცათამბჯინების ხილვა, ავსტრალიელთა აბორიგინების რიტვა თუ ჰოლანდიური ტულპანების სუნთქვა. „ბირმა". „ბრეზილიის გამოფენა", „მოგზაურობა ნიპალში", „ნადირობა ჯუნგლებში", „მსოფლიო ბაეს ეკვატორს". „მრავალსართულიანი ამერიკა", „ალაბრის დღიური", „მაროკო". „რესპუბლიკის დაბადება". „უძველესი კულტურის ქვეყანა. ტუნისი" (ამ ფილმს მიენიჭა მ. ლომონოსოვის სახელობის პრემია), „ახალი ზელანდია". „ავსტრალია" (ფილმმა დაიმსახურა მსოფლიოს დაცვის დიპლომი), „საბერძნეთი", „არგენტინა", „პერუ", „ურუგვაი", „ათონის მთაზე", „ინკების ქვეყანაში", „საპარა" და მრავალი სხვა ფილმების მხოლოდ სათაურების ჩამოთვლაც გვიჩვენებს, თუ რაოდენ ფართოა მხატვარი კინოდოკუმენტალისტის შემოქმედებითი პალიტრა.

ასათიანი მუდამ ძიებაშია. ისწრაფვის ფირზე აღბეჭდოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები, რომლებიც შემდგომში უკვე ისტორიულ დოკუმენტად, იშვიათობად იქცევა. თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარული კინოდოკუმენტალისტისათვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, შიში დაუძლეველობისა, მისმა ამ შესანიშნავმა თვისებამ თავი იჩინა ჯერ კიდევ ადრე, ომის წინ, ახალგაზრდობის წლებში, როცა მან როგორც ინტერესარული კინოოპერატორის კორესპონდენტმა სტალინგრადის ოლქში გადაიღო კასპის ზღვის მეთევზეთა გმირობის ამსახველი ფილმი.

რთული და ძნელი იყო სამხედრო კინოდოკუმენტალისტის საქმიანობა დიდი სამამულო ომის დღეებში. ასათიანი სტალინგრადის ფრონტზე საპარო ნაწილში ირიცხებოდა და ფირზე აღბეჭდავდა ჩვენი სახელოვანი მფრინველების გმირული ბრძოლების ეპიზოდებს. ვერმანულ მესერშმიტთან ერთ-ერთი ასეთი შერკინების დროს იმ თვითმფრინავს, რომელშიც ასათიანი იჯდა, ცეცხლი გაეჩინა და მას მოუხდა პარაშუტით გადმოხტომა. საპაერო ბრძოლების გადაღებისათვის იგი დაჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით. შემდგომში ფილმებისათვის „სეფასტოპოლის ზანთაგიისუფლება", „ვენერალ ჩანჩიბაძის გვარდიელები", „ბრძოლა კავკასიისათვის" ასათიანი დაჯილდოდა სამამულო ომის, შრომის წითელი დროშის ორდენებით და წითელი ვარსკვლავის მეორე ორდენით.

სამამულო ომში შეძენილი გამოცდილება კარგად გამოიყენა ქართველმა კინოდოკუმენტალისტმა ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ ალჟირელი პატრიოტების ბრძოლების ასახვის დროს.

გ. ასათიანი პირველი საბჭოთა კინოდოკუმენტალისტი იყო, რომელმაც შეძლო მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა შეეღწია ავსტრალიის ჯუნგლებში და გადაიღო ფილმი ამ ქვეყნის უძველესი ტომების — აბორიგენების ცხოვრებაზე.

მიტად საინტერესო და ხიფათებით სავსე იყო ასათიანის მოგზაურობა პერუში. მან შექმნა ამაღლებული ფილმი ამაზონის ფლორასა და ფაუნაზე, გვიჩვენა ინდიელ ტომთა ცხოვრება, ინკების უძველესი კულტურა, მათი ქალაქები, ტბა, ტიტიკაკა. ძნელი, ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში იყო ჯუნგლებში მოგზაურობა, მაგრამ ქართველი კინოდოკუმენტალისტი არად აგდებდა ამ სიძნელეებს და გაგანგებით იღებდა ბუნების ამ საოცარ სურათებს იღებდა იმ მომენტშიც, როცა იგი ველურმა ტომებმა დაატყვევეს.

გ. ასათიანი რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იმყოფებოდეს, იგი ყველგან ეძებს ქართულ კულტურასთან დაკავშირებულ მასალებს. იღებს უცხო მიწაზე ადმოცენებულ ქართულ სვანეებს. ასე გადაიღო მან ბულგარეთში ქართველთა მონასტერი — პეტრონონი. ასათიანი პირველი ქართველი კინოდოკუმენტალისტია, რომელმაც ფირზე აღბეჭდა იბერიის მონასტერი საბერძნეთში.

გ. ასათიანმა ამაგი დასდო ქართულ კულტურას, გადაიღო და ჩვენს საზოგადოებრიობას გააცნო ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლები — ხახული, ოშკი, ბანა, იშხანი, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე იმყოფება. 1917 წლის შემდეგ, როცა იქ საქართველოს არქიეოლოგიური ეკსპედიცია იმყოფებოდა ეკვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, ამ ძეგლების მდგომარეობის შესახებ არაფერი არ იყო ცნობილი. და აი გ. ასათიანმა თურქეთში მოგზაურობის დროს მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა შეძლო ჩასულიყო ერზერუმში და აქედან კი გეზი აეღო თორთუმისაკენ.

პირველი ძეგლი, რომელიც ჩვენმა კინოდოკუმენტალისტმა გადაიღო, იყო ხახულის ოდიბეული ტაძარი, ოდისეაც ქრისტიანული რელიგიის მძლავრი კერა, დღის მიჩეთად ქცეული. სადღაა ხახულის ფრესკები, აღარი ხახულის არქიტექტურულ კომპლექსში შემავალი სამი ეკლესია. ბაურ ალიხებს ისინი დაუნგრეიათ და ეკლესიის მოჩუქურთმებული ქვები თავიანთი საჭიროების ასაშენებლად გამოუყენებიათ.

არც ოშკი იყო სახარბიელო მდგომარეობაში. IX-X საუკუნეების ეს არქიტექტურული ძეგლები ნახევრად მიწისთან არის ქცეული. ბანას ულამაზესი ნაგებობიდან კი მხოლოდ საძირკვლებია დარჩენილა.

ოშკი ართვინის რაიონშია. ეს ძეგლი შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. ასათიანი ფირზე აღბეჭდავს ოქროსფერი ტუფისაგან ნაშენებ ტაძარს, იღებს მის ფრესკებს.

თურქეთში ყოფნის დროს მან შეძლო გამეზავრებულიყო ბურსაში, რომლის გარშემო ტერიტორიაზე განლაგებულია ქართული სოფლები. ასათიანი პირველი კინოდოკუმენტალისტია, რომელმაც შექმნა ფილმი თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე. ასე შეიქმნა საინტერესო ფილმი „ქვაში ამოკვეთილი საუნჯენი". დიდი მოწონება ხვდა ასათიანის ფილმს „რუსთაველი და მისი ეპოქა", რომელიც კინოდოკუმენტალისტმა შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღს მიუძღვნა.

მსოფლიოს უძველესი კულტურის ძეგლების, აზიის, აფრიკის, ამერიკის, ავსტრალიისა თუ ეროპის ქვეყნების ულამაზესი პეიზაჟებსა და ეთნოგრაფიული თავისებურებების ფირზე აღბეჭდვასთან ერთად ასათიანი ქმნის კინოსურათებს დღევანდელი კაპიტალისტური სახელმწიფოების კონტრასტებით აღსავსე ცხოვრებაზე. ამ შრიან საინტერესოა ფილმები — „პარიზი, პარიზი", „მრავალსართულიანი ამერიკა", „მეუხანი 25 წლის წინათ" და სხვ.

მიუხედავად მსოფლიოს გარშემო მისი მრავალორიენტაციანი მოგზაურობისა, გ. ასათიანის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს დღევანდელ საქართველოსა და მის ხალხს. მას ხშირად ნახავთ რუსთაველ მეგზაურებთან თუ თბილისელ ჩარხმშენებლებთან, საკოლმეურნეო მინდვრებში თუ საკონცერტო დარბაზებში.

მისი ერთ-ერთი საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმები „საქართველო — ლეგენდები და სინამდილე", „ილხინე ქართველთ მხარეო", რომლებიც ეძღვნება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს, რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად არის წარდგენილი.

ახლახან გ. ასათიანმა დაამთავრა მუშაობა ფილმზე „მეგობრული ოჯახში", რომელიც სამი კინოსტუდიის — სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის კინოდოკუმენტალისტების თანამონაწილეობით შეიქმნა და რომლის მხატვრული ხელმძღვანელიც ქართველი კინოდოკუმენტალისტია.

ძნელია გ. ასათიანთან შეხვედრა. ის თუ თბილისში იმყოფება, ყოველთვის მოუცლელია, ბანა ცოტა სამუშაო აქვს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის მხატვრულ ხელმძღვანელს.

როცა მასთან ინტერვიუსათვის მივედი, წეროებით საყვე მაგიდას მიხჯდომოდა. ახალი ფილმისათვის სცენარს ამზადებდა. ასათიანი სულ მალე ამერიკის ეპპანეთში გამგზავრებას. ახდა მისი დიდი ხნის ოცნება — გადაიღოს სრულმეტრაჟიანი ფილმი ეპპანეთზე, იმოგზაუროს ბასკეთში, შეხვდეს ლეგენდებისა და ანეკდოტების თანახმად ჩვენი ერის მონათესავე ხალხს.

რიგორც კინოდოკუმენტალისტების საერთაშორისო ჯგუფის წევრს ამიერკავკასიიდან, მას დავალებული აქვს გადაიღოს ფილმი, რომელიც ეძღვნება კომუნისტური მანიფესტის 125 წლისთავს. ფილმის შესაქმნელად მოეხდება მსოფლიოს 14-15 ქვეყანაში მოგზაურობა, შეხვედრები კომუნისტური პარტიის ლიდერებთან, ცნობილ რევოლუციონერებთან.

კვლავ გზები, ქვეყნები, ფილმები — ასეთია ნიჭიერი ქართველი კინოდოკუმენტალისტის შემოქმედებითი ცხოვრება.

ლარისა ხუბულური.



ქართული ბროლი ბერლინში



ქუთაისური ბროლი დიდი მოთხოვნით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. მომდინარე წლის მაისში ბროლი ბერლინში საერთაშორისო ბაზრობაზე გაიგზავნება.

სურათებზე: ზემოთ — ბროლის ნაკეთობანი, რომლებიც ბერლინში საერთაშორისო ბაზრობაზე გაიგზავნება; ქვემოთ — ბროლის საამქროს მოწინავე მეალმასე ნაზი შარვაშიძე.

გ. ბერსამიას ფოტო, (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მავნე ვნებათა აზარტი

მუქთახორობისა და დანაშაულის სათავე

სასტუმროს მომსახურე პერსონალის უმრავლესობა — ადმინისტრატორები, ოფიციანტები, პარიკმახერები, დიასახლისები ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნიან, რომელებსაც ვერაფრით ვერ განაცვიფრებ. მათთვის სულ ერთია, პარიზის საუკეთესო მოდელიერების მიერ უკანასკნელ მოდაზე შეკერილი კოსტუმით გამოეცხადები თუ ადამ და ევასავით მორიშულ-მოკაზმული, ქერათმიანი დაუჯდება გასაკრეკად თუ მედუზისთავიანი. არც ის გაუკვირდებათ, ბივუტეესის ნაცვლად ხელიგულზე მომწვარი იადონის ერბოკვერცხი რომ შეუკვეთოთ, არც ისა, საბნად ლაქვარდის ნაჭერი რომ მოსთხოვო, სასთუმლად კი ღრუბლის ფთილა.

სასტუმრო „ივერიის" 614-ე და 1402-ე ნომრების მდგმურებს არც მედუზის თავები ესხათ, არც იადონის კვერცხი მოუთხოვიათ. ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ. არც თუ უცხონი და გადამთიელნი. ერთი მათგანი — გიგი მიხეილის-ძე რევიშვილი ქუთაისელი გახლავთ, მეჭანიკოსად მუშაობს ცეკავშირის კომბინატის მშენებლობაზე თერჯოლაში. მეორე — იური ანდრიას-ძე ქებურია ზუგდიდელია, გაურკვეველი პროფესიისა და მოსაქმეობის ადამიანი.

ერთი შეხედვით არაფერი არ გამოარჩეოდნენ „ივერიის" სხვა მდგმურებისაგან. მაგრამ მათმა საიდუმლოებით მოცულმა ცხოვრებამ მთელი სასტუმროს ყურადღება მიიპყრო.

ჩვეულებრივ სასტუმროში ჩერდებიან საქმეზე ან სამოგზაუროდ ჩამოსული ადამიანები. ჩვენი მდგმურები კი არც მოგზაურ-ექსკურსანტებს ჰგავდნენ, არც საქმიან ხალხს. იმ დროიდან მოკიდებული, რაც, „ივერიაში" დაბინავდნენ, ერთხელაც არ გაუდგამთ ფეხი სასტუმროდან, ოთახიდანაც კი იშვიათად გამოდიოდნენ.

ვერავინ გიგიო, რას შვრებოდნენ, რას აკეთებდნენ, ეტყობოდა რაღაც სერიოზული თათბირი, კამათი და სჯა-ბაასი არ ჰქონდათ, არც პურმარილი და ღვინის სმა იმართებოდა, რადგან ამის მომნშენებელი რაიმე ხმა ოთახიდან არ გამოსჩენოდა. ისხდნენ მდუმარედ და ათასში ერთხელ მოკლე ფრაზას თუ ვინმე წამოსროდა. ათასში ერთხელ კარი გაიღებოდა, ნომრიდან გამოდიოდა მღილვარებისაგან სახეალეწილი ადამიანი, უაზროდ შემოგანთებდა თვალებს და ასეთი უაზროდ და დაბნეულად მიემართებოდა სადღაც, ალბათ თვითონაც არ იცოდა, სად.

ვინ არიან ისინი? რისთვის იკრიბებიან? რას უნდა მოასწავებდეს ეს უცნაური შეხვედრები?

საიდუმლოებას მხოლოდ მაშინ მოეფინა ნათელი, როცა საქმეში შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები ჩაერევნენ. გამოირკვა, რომ სასტუმრო „ივერიის" 1402-ე და 614-ე ნომრები სამორინოდ, კაზინოდ — აზარტული თამაშების ადგილად ექცეოთ მათს მდგმურებს გივი რევიშვილს და იური ქებურიას. ისინი საგანგებოდ ჩამოვიდნენ თბილისში, რომ თამაშის მორიგი სეანსი ჩაეტარებინათ თავიანთ თბილისელ და რუსთაველ ამფსონებთან, და თუმცა საგანგებდ სავიზიტო და მოსაწვევი ბარათები არ დაეგზავნათ პატრონირებისათვის, მაინც მიაგნეს ერთმანეთს გუშანთან, როგორც ნადირი ტყეში და ზვიგენი ოკეანეში ყნოსვით აგნებენ ხოლმე საკბილოს.

სასტუმროს საიდუმლო კაზინოში — ამ ჯოჯოხეთურ ბუნაგში მაშინვე გამოცხადდნენ თბილისელები — „საქსოფტკინიკის" უფროსი ინჟინერი თეიმურაზ გულბათის-ძე გამრეკელი, გაურკვეველი პროფესიისა და მოსაქმეობის პირნი — გიორგი ანდრიას-ძე ფოცხვერაშვილი, ოთარ ალექსანდრეს-ძე ახნაზაროვი და ნოდარ მიხეილის-ძე შავლაყადე, მათ მიემატნენ რუსთავიდან ჩამოსული ჯუმბერ ვასილის-ძე მოწონელიძე (ქალაქის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ოსტატი), სულიკო ნიკოლოზის-ძე მოდებაძე და მოთამაშეთა წრეც შეიკრა.

გადათვალეს და ამოიკვეცეს იდაყვიანი ფული, მოისმეს ბედიღლის ყველა ღმერთი და ანგელოზი, მიაფურთხეს ეშმაკს და ჩაუსხდნენ გულდაგულ...

ცხადია, სასტუმროს ნომრები სახელდახელოდ გამართულ სამორინოში არ იყო მწვანემაუდგადაფარებული მაგიდა, ბეღის ალმართ-დაღმართებში ბზრიალით არ მიემართებოდა ლითონის ბურთულა და ხანგამოშვებით არ ისმოდა კრუპიეს ჭრუანტელის მომგვრელი ხმა, წაგებულთა ხელისგულებში არ ფეთქავდნენ ჯიბეში საიდუმლოდ ჩაბუჯული დამბაჩები თერმეკლელობისათვის... სამაგიეროდ იყო ჭიქებში ჩაყრილი კამათლების წკრიალ-წკრიალი და ორივე ხელში მოქცეული ბანქოს პრიალა ქაღალდის ნერვული სრესა და „გაჩითვა", და გარშემო თამბაქოს ბოლითა და აზარტული სულით იყო გაჟღენთილი ყველაფერი. ხელიდან ხელში გადადიოდა თუმნიანები, ოცდაუთმანეთიანები, ბ ი, ასმანეთიანები, რომ ბოლოს რომელიმე ერთის ჯიბეში ჩასვავებულიყო...

და ხომ არ გგონიათ — ეს ადამიანები მხოლოდ გართობის მიზნით, მხოლოდ თამაშის მწველი სიამის განცდისათვის შეიყარნენ აქ? არა" აზარტული თამაში ზოგი ამათგანის ძირითადი ხელობა და მოსაქმეობა გახლავთ. ხოლო ზოგიც, სქმის კაცად რომ ითვლება საზოგადოებაში, ბედის ტრიალსა და მწვავე განცდებს აყოლილი დროისა და ენერგიის უდიდეს ნაწილს ამ ფუჭ საქმეში ხარჯავს და სასწორზე დებს ყველაზე ძვირფას — ოჯახის ღირსებას, სიმშვიდესა და ბედნიერებას.

მკითხველთაგან ზოგს იქნებ გაუკვირდეს და ეხმაურის კიდეც, აზარტული თამაშის მოყვარულნი საგაზეთო წერილის თემად რომ ვექცეთ. ასეთები ხომ იშვიათი გამონაკლისი არიან.

მაგრამ ამ მცირე გამონაკლისსაც ხომ დიდი ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის!

შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ აღმოჩენილია აზარტულ მოთამაშეთა რამდენიმე ჯგუფი და ბუნაგი, სადაც ისინი თავს იყრიდნენ, ბევრ შემთხვევაში თავშეყრის ადგილი ოჯახი იყო. 11 თებერვალს თბილისში საბუდარის ქ. № 19-ში ბენო აბრამის-ძე დავითაშვილის ბინაში დაკავეს აზარტული მოთამაშეები: ოთარ დავითის-ძე გურიელოვი — მეორე უნივერმაღის სექციის გამგე, ბენო ილიას-ძე მეკინულოვი — ამავე მაღაზიის გამყიდველი, ამირან შალვას-ძე ცაცანაშვილი — მეორე უნივერმაღის № 27 მაღაზიის გამყიდველი, მიხეილ აბრამის-ძე აბრამაშვილი და შალვა ხიმის-ძე ციციაშვილი.

დიდ თანხაზე აზარტულ თამაშებში არაერთხელ არიან შენიშნული თბილისელები ანზორ მელიტონის-ძე ლომთათაძე, აბრამ ფილიპეს-ძე მოშიაშვილი, არონ ლეონის-ძე მელიმელი, არუთინ არონის-ძე აჯამოვი, პეტრე საკაის-ძე ზაქარიანი, რაფიელ სვილეს-ძე მატროსიანი, გურამ სერგოს-ძე დოლიძე და სხვები.

რა თქმა უნდა, აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულია ჩხუბი, ოჯახური უსიამოვნებანი, განსაკუთრებით კი თაღლითობა და ქურდობა.

არიან აზარტული მოთამაშენი, რომლებსაც ერთადერთ ხელობად, პროფესიად თამაში გაუხდიათ, და სულაც არა სურთ წაგებ-მოგების ალაღებდეს შეაგდონ. ისინი ამით ცხოვრობენ და, თქვენ წარმოიდგინეთ კარგ ფულსაც შოულობენ. ცხადია, ეს ეშმაკობისა და თაღლითობის გარეშე შეუძლებელია. ისინი ეძებენ და პოულობენ ფულიან ხალხს, ირევიან თამაშში და სხვადასხვა მაქინაციების გზით მოუგებენ, გამოსტაცებენ ხოლმე ფულს. ერთი ასეთი პროფესიონალი გახლავთ ზემოთ დასახელებული ი. ქებურია. სასტუმრო „ივერიაში" ბინის გაჩხრეკის დროს მას უპოვეს ქლიბები. სადგისები, მარწუხები, მაგნიტის ნატეხები და თვით პაწია დაზგაც კი, ამ მოწყობილობით იგი თავის ხელით აკეთებს კამათლებს, და გამოუცვლელ მოთამაშეს და ხშირად გამოცდილსაც თამაშის დროს გადამწყვეტ მომენტში, რასაც მოისურვებს, იმას დაუსვამს ხოლმე.

ამგვარმა ხოხუმელმა „პროფესიონალმა" ნ. აქუბარდიამ ერთ ფულიან კაცს საქმე ისე მოუწყო, რომ ბოშა ქალისაგან თავად შეიძენინა სათამაშო ბანქოს ქაღალდი — კარტი, რომელიც წინასწარ ჰქონდა დანიშნული და ამგვარი თაღლითობით დიდძალი თანხა მოუგო. თბილისის ერთ-ერთ მაღაზიაში ვასაყიდად გამოტანილ სათამაშო ბანქოს ყველა დასტა გამყიდველთან შეთანხმებით წინასწარ იყო დანიშნული. ამ გზით მოთამაშეთა ერთი ნაწილი მეორეს ატყუებდა.

განა ყველაფერი ეს თაღლითობის გზით ფულის აშკარა გამძარცვა არ არის? ვინც ამას აკეთებს, აშკარად ბოროტმოქმედია. მაგრამ ვინა დაძაბავე არ არის ის, ვინც ასეთ ანკესზე ეგება?

აზარტული თამაში ბანგივით არის. მას თანდათან ეჩვევა ადამიანი, როგორც ნარკოტიკებს და ბოლოს მთელი მისი არსება ამ ფუჭი ვნებით იწამლება. თამაშის მწველი სიამე მოთხოვნილებად ექცევა. ეს კი მეტად მავნე. დანაშაულებრივი ჩვევაა და უბედურების მეტი არაფერი მოაქვს ადამიანისათვის.

მ. მიქაძე,
ა. გოცირიძე.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

სანამ პრეზიდენტები ემგზავრებიან

ᲭᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

საბჭოთა სამყარო მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირის მოლოდინშია. მიმმხილველები დიდ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდა გროსმაისტერებს, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენზია აქვთ.

ტურნირის გაზეთ „სტამპას" მიაჩნია, რომ ახალგაზრდა გროსმაისტერების მეკინგისა (ბრაზილია) და ბრაუნის (ავსტრალია) არაჩვეულებრივი ამბიციები სრულიადაც არ შეესაბამება მათს ნამდვილ საჭადრაკო ძალას. უბრალოდ რომ ვთქვათ, ისინი გაცილებით უარესად თამაშობენ, ვიდრე თვითონ ჰგონიათ. იმავე „სტამპას" მიმოხილველის აზრით, მეკინგი სან-ანტონიოში კერესთან დამარცხების შემდეგ „გაიბერა როგორც ინდაური" და შეჯიბრების ბოლომდე ისე იქცეოდა, თითქოს ტურნირის ამბები მას სრულიადაც არ აინტერესებდა. უდავოდ ნიჭიერი ბრაუნი ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ჩიხში მოექცა და მარცხს მარცხზე განიცდის. ეს მას როდი უშლის ხელს განაცხადოს, რომ მსოფლიოს პირველობისაკენ მიმავალ გზაზე „ერთადერთი სახიფათო მეტოქე ჰყავს... შედარებით ახალგაზრდა ფიშერი".

გაცილებით უფრო დასაბუთებულია ჰიუბნერის (გფრ) პრეტენზიები, რომელიც მიმმხილველთა საერთო აზრით ახალგაზრდა საზღვარგარეთელ გროსმაისტერებს შორის ამჟამად ყველაზე ძლიერია. ეინც მის უფერულ თამაშს ადევნებდა თვალყურს სოხუმში, გოშით ყურადღებას იჰყრობს კარპოვი. საერთაშორისო ოსტატი გოლომბეკი ლონდონის „ტაიმსში" წერდა „ბევრი ექსპერტის აზრით, სწორედ კარპოვის ხვედრი იქნება სიგრძნობლად შეამციროს მსოფლიოს ჩემპიონობის ის 30-წლიანი პერიოდი, რომელიც ფიშერმა საკუთარ თავს განუკუთვნა".

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა თვით მსოფლიოს ჩემპიონ ფიშერის ინტერვიუ „ზეგეთ „სან-ანტონიო ნიუსის" (გამოდის ოცებული დარჩა, როდესაც სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ ჰიუბნერმა სკოპლეში საერთაშორისო ოლიმპიადის პირველ დაფაზე პირდაპირ მუსრი გაავლო მეტოქეებს (15 ქულა 18-დან). ჰიუბნერმა წვერი მოუშვა, ამიტომ პეტროსიანმა ხუმრობით თქვა, ვერც ჰიუბნერი ვიცანი და ვერც მისი თამაშოო.

საბჭოთა გროსმაისტერებს, შორის თანაბარი, ენერგიული თამაშია (ალბათ ეს ეტაპასის შტატში) კორესპონდენტთან. „მას (კარპოვს) ჯერ კიდევ არა აქვს თავისი, მკვეთრად გამოხატული ხელწერა, მაგრამ უახლოეს წლებში შეიძლება სერიოზული მეტოქე გახდეს", — განაცხადა მან ახალგაზრდა საბჭოთა გროსმაისტერზე.

შემდეგში ფიშერმა ილაპარაკა შესაძლებელ მეტოქეებზე და თქვა, რომ თანამედროვეობის უძლიერეს მოჭადრაკედ მიაჩნია სპასკი („ჩემს შემდეგ, რა თქმა უნდა", — მყისვე დაუმატა მან).

გათვალისწინებულია ფიშერის გასტროლები დასავლეთ ევროპაში, სადაც იგი ერთდროული თამაშის სეანსებს გამართავს. ეს, ეტყობა, საბჭოთა კავშირისა და „დანარჩენი მსოფლიოს" მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მატჩ-ტურნირის წინ მოხდება, რომელიც მაისში უნდა გაიმართოს ამსტერდამში. ამ სეანსების ჩატარების საკითხში პირველი დაბრკოლება უკვე წარმოიშვა — გფრ-ის საჭადრაკო ფედერაციას 5 ათასი დოლარი პონორარი თვითეული სეანსისათვის „წარმოუდგენლად" მიაჩნია.

ფიშერის შემდეგ „დანარჩენი მსოფლიოს" მოჭადრაკეთა გუნდში მეორე დაფაზე ითამაშებს ლარსენი. როდესაც მან ნიკარში პირველი პრიზი მოიპოვა ჰასტინგსის ტრადიციულ ფესტივალში, ამერიკული ჟურნალის „ჩემს ლაიფის" კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა განთქმულ დანიელ გროსმაისტერს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1964 წლიდან მოყოლებული, ლარსენი შიდის მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა პირველ ხუთეულში. როგორც ცნობილია, იგი მოსწრებული სიტყვა-ჰასუხით გამოირჩევა. როდესაც კორესპონდენტმა ლარსენს ჰკითხა, ვინ შეხედება ფიშერს... 1978 წელს, ასეთი პასუხი მიიღო — „თუ კი ფიშერი 1978 წელს მსოფლიოს პირველობის მატჩს ითამაშებს, ეტყობა, მხოლოდ პრეტენდენტის როლში, ჩემს წინააღმდეგ". შემდეგ ლარსენმა გაიმეორა თავისი ძველი მტკიცება იმის შესახებ, რომ 1971 წელს ფიშერთან ფინეთში მატჩი წაეგო მხოლოდ სუნელი სიცხის გამო, რომელსაც სრულიად ვერ უძლებს, როგორც ჩრდილოელი.

მაშ ასე, ჯერ ნაკრებთა მატჩი, შემდეგ საზონათაშორისო ტურნირები, საინტერესო საჭადრაკო ესტაფეტაა.

გ. გამრეკელი.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲫᲘᲣᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲘᲙᲢᲔᲑᲘ

ᲒᲝᲜᲘ. 19 თებერვალი. (ხაკდენი). საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა ძიუდოისტთა დიდ საერთაშორისო ტურნირში. თავიანთი წონითი კატეგორიების მიხედვით ვაიმარჯვეს ევროპის ეჭს-ჩემპიონმა მარტიოფლიშვილმა (მსუბუქი წონა), ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორმა გოგოლაურმა (ხაშუალო) და მძიმე წონაში ნიკარაძემ. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ჩიკლაური (ქვეხაშუალო) და მუზაევი (ხაშუალო). მესამე ადგილები დაიკავეს მსუბუქი წონის მოჭიდავემ ხორბალაძემ და მძიმე წონის ძიუდოისტმა ოდიშელიძემ. ტრავმის გამო მონაწილეობა არ მიუღია ოლიმპიურ ჩემპიონ ჩოჩიშვილს.

სხვა წონათა კატეგორიებში საუკეთესონი იყვნენ ფარანგები კუტეე (ქვეხაშუალო) და დეშერში (ქვემძიმე). მეორე ადგილები დაიკავეს მსუბუქი წონის მოჭიდავემ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა რიუტერმა, იუგოსლავმა ობადოვმა (ხაშუალო) და მძიმე წონის მოჭიდავემ, ინგლისელმა რემფორმ.

ახპარეზობა მიმდინარეობდა დახავლეთ გერმანიის ქალაქ დარმშტადტში.

რამდენიმე სტრიქონით

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) გუნდების მორიგი მატჩები. კალათბურთში. თბილისის „დინამო" გამოდიოდა კიევში, არმიის სპორტული კლუბის კალათბურთელებს წინააღმდეგ. გაიმარჯვეს ქართველმა სპორტსმენებმა 83:78.

სოჩში საკონტროლო მატჩში შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედო" და ერევნის „არარატი". ანგარიშით — 3:1 გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

ᲜᲝᲠᲩ ᲢᲐᲜᲛᲝᲕᲐᲠᲯᲘᲨᲕᲔᲗᲐ ᲙᲘᲠᲐ

თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალურმა ბავშვთა ტანვარჯიშის სპორტულმა სკოლამ 1950 წლიდან სპორტის 50 ოსტატი, სპორტის ოსტატობის 55 კანდიდატი და 160 პირველთანრიგოსანი აღზარდა. მისი კედლებიდან ხაბეჭოთა კავშირის, ევროპისა და ოლიმპიური მრავალი ჩემპიონი გამოვიდა.

სურათებზე: მოზარდთა შორის პირველთანრიგოსნები სპორტულ-ჭოროგრაფიული ვარჯიშის შესრულების დროს; სპორტის ოსტატი ტანვარჯიშში ჯემალ კვანტალიანი და სპორტულ სკოლათა შორის საქართველოს 1972 წლის ჩემპიონი, ფრიადოსანი მოსწავლე უარნა ბოკერია. ბ. ბუბუბაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲒᲔᲑᲣᲐᲫᲔ

გარდაიცვალა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საბსახურის განყოფილების უფროსი, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, სკკპ წევრი 1941 წლიდან პოლკოვნიკი ლევან ბაბლოს-ძე დგებუაძე.

ლ. დგებუაძე დაიბადა 1920 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდ ჭყონში, მოსამსახურის ოჯახში. 1938 წელს ლ. დგებუაძე მუშაობას იწყებს ქ. ბათუმის მეტალურგიულ კომბინატში ტექნოლოგად, აქ მას ირჩევენ კომკავშირის კომიტეტის მდივნად, შემდეგ კი პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ. 1939 წელს ლ. დგებუაძე მოხალისედ მიდის საბჭოთა არმიის რიგებში და მონაწილეობს თეთრფინელების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1941 წელს წარჩინებით ამთავრებს ხაზინიტო-საარტილერიო სასწავლებელს და იგზავნება მოქმედ არმიაში. დიდი სამამულო ომის პერიოდში იმყოფებოდა მოსკოვის, ცენტრალური, სამხრეთისა და სხვა ფრონტებზე. იგი საარტილერიო დივიზიონის მეთაური.

1946 წელს ლ. დგებუაძე სამუშაოდ იგზავნება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში. 1946-1962 წლებში იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზეა. 1962 წელს ეგრეთ „შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების ჯერ ნაწილის მეთაურის მოადგილის, შემდეგ კი მეთაურის თანამდებობა.

1970 წელს ლ. დგებუაძე დაინიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურის განყოფილების უფროსად, სადაც იგი მუშაობდა გარდაცვალებამდე, ლ. დგებუაძემ ბევრი გააკეთა მილიციის გარესამსახურის მუშაობის შემდგომ